# გსურს გახდე პირველი არხის გუნდის წევრი?

საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს კონკურსს **კორესპონდენტის** თანამდებობაზე ახალი და მიმდინარე ამბების **ეკონომიკის მიმართულების** ჯგუფში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი პოზიციონირებს, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია. ჩვენი მიზნები და ამოცანები მიმართულია იმისკენ, რომ თითოეულ ადამიანს, საზოგადოებას ვემსახუროთ სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებით. ჩვენ ვეძებთ გუნდის წევრს, რომელიც მზად არის ჟურნალისტური მაღალი სტანდარტებითა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პრინციპების დაცვით მოამზადოს ეკონომიკის მიმართულებით ახალი ამბები საზოგადოებისათვის.

**სამუშაოს ტიპი:** სრული განაკვეთი

**სამუშაოს ლოკაცია:** თბილისი, კოსტავას ქუჩა #68

**სამუშაო ფუნქციები:**

- ეკონომიკის მიმართულებით უახლესი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ახალი ამბების ეთერისათვის მომზადება;
- ინფორმაციის დამუშავება ვებ-გვერდისათვის;
- სიუჟეტების მომზადება მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისად;
- პირდაპირ ეთერში ინფორმაციის გაშუქება მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისად;
- საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ამოცანების შესრულება.

**პიროვნული და პროფესიული კომპეტენციები**

- ვერბალური და წერითი კომუნიკაცია;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- დადგენილ ვადებში მუშაობის უნარი;
- სამუშაო დროის მართვის უნარი;
- ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების უნარი;
- დინამიურ გარემოში სწრაფად ადაპტირებისა და სამუშაო პროცესის მართვის უნარი.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება სასურველია ჟურნალისტიკის ან ეკონომიკის მიმართულებით;
- სავალდებულოა ქართული ენის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა;
- სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობად ჩაითვლება რუსული ენის ცოდნა;
- პრიორიტეტულია სატელევიზიო სამუშაო გამოცდილება ეკონომიკის თემებზე;
- სავალდებულოა საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პრინციპების ცოდნა.

**კონკურსის ეტაპები:**

- რეზიუმეების შერჩევა;
- გასაუბრება;
- დავალების შესრულება.

თუ გაქვთ სურვილი შემოუერთდეთ ჩვენს გუნდს, გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV)

**2021 წლის 4 ივნისის ჩათვლით**
ელექტრონულ მისამართზე: **vacancy@gpb.ge.**

გთხოვთ, სათაურის ველში (subject) მიუთითოთ „კორესპონდენტი“.

გისურვებთ წარმატებას!